




ვებგვერდის www.rs.ge მეშვეობით ფიზიკური პირებისთვის საკუთარი შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზამკვლევი

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ პორტალზე <https://eservices.rs.ge/Login.aspx> რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს პირადი შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ გადაამოწმონ მოდულში - „ზოგადი ინფორმაცია“ (დანართი №1).


(დანართი №1)



მოდულის - „ზოგადი ინფორმაცია“ გააქტიურებით შეგიძლიათ დაათვალიეროთ მონაცემები მიღებული პირადი შემოსავლებისა და პირადი ქონების შესახებ (დანართი №2). ამისთვის, საკმარისია აირჩიოთ შესაბამისი წელი და გააქტიუროთ ღილაკი განახლება.

აქვე განგიმარტავთ, რომ პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია დეკლარირებული საგადასახადო აგენტების მიერ, რომლებსაც გადახდის წყაროსთან ევალებათ გადასახადის დაკავება. შესაბამისად, ნებისმიერი უზუსტობა მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით, უნდა გაირკვეს საგადასახადო აგენტთან (დამქირავებელთან, შემოსავლების გადამხდელთან და ა.შ.).

შესაძლებელია, პირადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია არ იყოს დეკლარირებული სახელმწიფო საიდუმლოებიდან გამომდინარე. კერძოდ, საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემოსავლების მიმღებ პირთა იდენტიფიცირების გარეშე, თუ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხით“, გამომდინარე დათქმიდან ზემოაღნიშნულ პირებზე ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.



პირადი ქონებაში შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია რეგისტრირებული ქონების შესახებ (უძრავი ქონება, მიწა, ავტომობილი).

გაითვალისწინეთ, რომ თუ ქონების გასხვისებას ჰქონდა ადგილი წინა საანგარიშო წელს, აღნიშნულ მოდულში შესაბამისი მონაცემების არ არსებობა არ გათავისუფლებთ საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადის დეკლარირების ვალდებულებისგან.

ფიზიკურმა პირებმა ქონების გადასახადის დეკლარაცია უნდა წარუდგინონ საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

დეკლარაციის წარდგენა ხდება ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან www.rs.ge შემდეგი ბმულის მეშვეობით <https://eservices.rs.ge/Login.aspx>

თუ, დაგავიწყდათ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის <https://eservices.rs.ge/Login.aspx> მომხმარებლის პაროლი, შეგიძლიათ ისარგებლოთ პაროლის აღდგენის სერვისით (იხ. დანართი <https://eservices.rs.ge/Docs/Recover.pdf?v2>).

შემოსავლებისა და ქონების შესახებ საკუთარი ინფორმაციის გადამოწმების წვდომა შესაძლებელია ჰქონდეთ ფიზიკურ პირებსაც, თუ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან <https://eservices.rs.ge/Login.aspx> გაივლიან მომხმარებლად რეგისტრაციის პროცედურას (იხ. დანართი <https://eservices.rs.ge/Docs/RegistrationHelp.pdf>).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, დაუკავშირდეთ საინფორმაციო საბელეფონო ცენტრს 2-299-299